



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 21
2011 წ. - 30 გვერდი
ქ. თბილისი

2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების
მონაწილეობის ადმინისტრირებისათვის
გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

"განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა-ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადები" პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 06 იანვრის №18 ბრძანების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს "2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები" ამ ბრძანების №1 დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატებისათვის ჩასატარებელ შესარჩევ ტურში მონაწილის სააპლიკაციო განაცხადის ფორმა ამ ბრძანების №2 დანართის შესაბამისად.
3. 2011 წლის საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევასთან, მომზადებასა და მათ საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების მიზნით დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:
 - ა) კარლო ლაფერაძე - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მრჩეველი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

- ბ) ირაკლი ნოსელიძე - ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- გ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- დ) მალხაზ ხოფერია - ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
- ე) დავით ბარაბაძე - ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ვ) ტიტე რუხაძე - ფონდის ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ზ) დავით ჩიჩუა - ფონდის სამეცნიერო პროგრამების მართვის სამმართველოს პროგრამების კოორდინატორი;
- თ) თამარ გორგოძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი;
- ი) ნათა იაშვილი - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის საორგანიზაციო საქმის სპეციალისტი;
- ლ) დოდო გუგავა - ფონდის კოსულტანტი მეცნიერების პოპულარიზაციის საკითხებში;
- კ) ნიკოლოზ ბაქრაძე - ფონდის კონსულტანტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში;
- მ) გიორგი დავითაშვილი - ფონდის სისტემური ადმინისტრატორი;
- ნ) დავით ხვედელიძე - ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის ტექნიკური მენეჯერი;
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებგვერდზე: www.rustaveli.org.ge.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი

